თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 04

26 აპრილი 2024 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 33 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**მამუკა ბურდიაშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები:	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან ბერძენაშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	**ბაადურ რევაზიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: **ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა ტატულიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ოთარი ესიტაშვილი, თამარ ხატიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: **გიგი გიგიტელაშვილი, ეთერი გურგენაშვილი;**

საკრებულოს წევრები: **ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, მარიამ ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ზაქარია**

გრიშიკაშვილი, ნინო ომანიძე, იმედა კევლიშვილი, ივანე დალაქიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, მერი მაისურაძე, რუსუდან იმერლიშვილი, რამაზი ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცით მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ნუგზარ ბაჩიაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ლიკა ალადაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **ლალი მერაბიშვილი;**

N10 ოლქის თელავის, ახმეტის, ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ირაკლი ქადაგიშვილის ბიუროს თანამშრომელი **ნონა გოგატიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

მოქალაქე მაკა მოსიაშვილი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ნ. ვაყელიშვილი
   12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

   მომხს. ნ.ვაყელიშვილი
   12.20სთ-დან-12.30სთ-მდე

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
12.30 სთ-დან - 12.40სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.ზ.სახიაშვილი
12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის მერისათვის თელავის მუნიციპალიტეტის სახელით გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ზ.სახიაშვილი
12.50 სთ-დან - 13.00 სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M^3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.00 სთ-დან - 13.10სთ-მდე

სამანდატო, საპროცედურო და იურდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მოითხოვა განცხადების გაკეთების უფლება დღის წესრიგით გათვალიაწინებული საკითხების შემდგომ.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ზ.სახიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დღის წესრიგის მე-4 და მე-5 საკითხებზე მომხსნებლები იქნებიან ლ.მერაბიშვილი და ლ.ალადაშვილი.

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.გულიაშვილმა** დასვა კითხვა იმ ლოკაციებთან დაკავშირებით, სადაც იგეგმება ცხაურების შეცვლა.

გ.გიგიტელაშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ კურდღელაურის მე-5 ქუჩაზე სამუშაოები განხორციელებული იქნა არასრულყოფილად, მერიამ კი ჩაიბარა პროექტი.

ა.შათირიშვილმა და ი.კირვალიძემ აღნიშნეს, რომ პროექტირების დროს დაშვებული შეცდომებიდან გამომდინარე, ცხაურების პრობლემა არსებობს სხვადასხვა ქუჩებზე.

ბ.რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ ბ.გულიაშვილის შენიშვნა მისაღებია და ნათელი უნდა იყოს თუ სად და რა მოცულობის ცხაურის მონტაჟი იგეგმება ბიუჯეტის პროექტის განსაზღვრული თანხით.

საკრებულოს წევრების შეკითხვებზე განმარტებები გააკეთა **ნ. ბაჩიაშვილმა.**

ნ.ვაყელიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო მთავრობის განკარგულებები, რომელთა საფუძველზეც მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხები ერეკლე II გამზირზე ფასადების და სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციისათვის, რაც აუცილებლად უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

<u>დაადგინეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **21 (ოცდაერთი)** წევრმა).

წინააღმდეგი: 01(ერთი) წევრი: ი.კევლიშვილი.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 11 (თერთმეტი) წევრმა: ბ.გულიაშვილმა, რ.იმერლიშვილმა, გ.გიგიტელაშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, ე.გურგენაშვილმა, მ.მაისურაძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ზ,გრიშიკაშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ნ.ომანიძემ, ი.დალაქიშვილმა.

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **28 (ოცდარვა)** წევრმა).

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 05 (ათი) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, მ.მაისურაძემ, ნ.ომანიძემ, ი.დალაქიშვილმა, ა.კუპატაძემ,

<u>3. მოისმინეს:</u> საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ;

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
12.30 სთ-დან - 12.40სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.გულიაშვილმა** კვლავ დასვა კითხვა იმის თაობაზე, თუ რატომ ადრევე არ მოხდა ვატიას ქუჩის რეაბილიტაცია, რისი პროექტიც დიდი ხნის შესყიდული იყო.

რ.ჩეკურიშვილმა დასვა კითხვა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაუსრულებელ პროექტებზე.

ე.გურგენაშვილმა დასვა კითხვა ალაზნის პროსპექტზე ქუჩის მწვანე ზოლის მდგომარეობის შესახებ.

ბ.რევაზიშვილმა დასვა კითხვა კავკასიონის N45გ კორპუსის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

გ.გიგიტელაშვილმა ისაუბრა კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებზე ბანერების განთავსებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრების შეკითხვებზე განმარტებები გააკეთა **ნ.ბაჩიაშვილმა.**

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **21 (ოცდაერთი)** წევრმა.

წინააღმდეგი: 02(ორი) წევრი: ბ.გულიაშვილი, ბ.რევაზიშვილი

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 10 (ათი) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, მ.მაისურაძემ, რ.იმერლიშვილმა, ი.კევლიშვილმა, ე.გურგენაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ა.კუპატაძემ, ი.დალაქიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ნ.ომანიძემ.

<u>4. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იზოლდა ჭყოიძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.ლ.მერაბიშვილი
12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **23 (ოცდასამი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 10 (ათი) წევრმა: ბ.გულიაშვილი, გ.გიგიტელაშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ე.გურგენაშვილმა, ა.კუპატაძემ, ი.დალაქიშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ი.კევლიშვილმა, ნ.ომანიძემ.

<u>5. მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის მერისათვის თელავის მუნიციპალიტეტის სახელით გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ლ.ალადაშვილი
12.50 სთ-დან - 13.00 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **21 (ოცდაერთი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 12 (თორმეტი) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, რ.იმერლიშვილმა, მ.მაისურაძემ, ე.გურგენაშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა, ი.კევლიშვილმა, ნ.ომანიძემ, ნ.ბახსოლიანმა, ი.დალაქიშვილმა, ა.კუპატაძემ.

6. მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M^3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.00 სთ-დან - 13.10სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **27 (ოცდაშვიდი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 06 (ექვსი) წევრმა: ი.კევლიშვილმა, ნ.ომანიძემ, ზ.გრიშიკაშვილმა, გ.გიგიტელაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ა.კუპატაძემ.

მე-6 საკითხის წარდგენის შემდგომ **ლ.ბერძენაშვილმა** გააკეთა განცხადება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეწინააღდეგება გამჭვირვალობის კანონს, აღნიშნული კანონი ხელს შეუშლის საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციას, ქვეყანა ვერ მიიღებს ყველა სიკეთეს, რაც დაკავშირებულია ევროპასთან. მან თხოვნით მიმართა საქართველოს პარლემენტს და მთავრობას უკან გაიწვიონ კანონპროექტი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პარლამენტი მიიღებს აღნიშნულ კანონს, ის დატოვებს ფრაქცია ქართულ ოცნებას და თანამდებობას.

ლ.ბერძენაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით **საკრებულოს თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ გამჭვირვალობის კანონი არის ქართული და ვერანაირად ვერ იქნება რუსული, ამ ხელისუფლების მონაპოვარია ევროპასთან დაახლოება: ასოცირების ხელშეკრულება, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, ვიზალიბერალიზაცია, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, სტაბილური ეკონომიკა და მშვიდობა, რაც უკეთესი მომავლის წინაპირობებია.

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ მთვარელიშვილი